გიგი გიოშვილი
ისტორიის დოქტორანტი, თსუ
„უახლესი ისტორიის ცენტრის“ მკვლევარი
კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
gigi.gioshvili@gmail.com

როგორ მიმდინარეობდა საისტორიო აზროვნების ტრანსფორმაცია საქართველოს სასკოლო სახელმძღვანელოებში (1987–1991)[1]

საკვანძო სიტყვები: საისტორიო აზროვნება, საბჭოთა კავშირი, საბჭოთა სკოლა, ისტორიის სახელმძღვანელო, ისტორიის პროგრამა
Keywords: Historical thinking, Soviet Union, Soviet Union schooling, History textbook, History curriculum

საბჭოთა კავშირში ისტორიის შესწავლას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სკოლაში შესასწავლ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის. ისტორიის ცოდნას მეცნიერული მსოფლმხედველობის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ. ისტორია კომუნისტური მორალის ფორმირების მნიშვნელოვანი წყარო და ადამიანის კულტურული დონის ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებელი იყო. ისტორიული ცოდნის ეს სოციალური ფუნქცია კი, მათი აზრით, სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა საერთაშორისო არენაზე სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში.

ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია საბჭოთა სკოლებში

საშუალო სკოლის ყველა ტიპში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, ტექნიკუმებში, ისტორიული განათლების ერთიანი სისტემა მოქმედებდა. ისტორიის შესწავლა ძირითადად ანალოგიური პროგრამებით, ერთი და იგივე სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა. სამშობლოს ისტორიიდან პირველდაწყებით ცნობებს მოსწავლეები ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში იღებდნენ.

1927 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (შემდგომში სკკპ) XV ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ მოსახლეობაში, უპირველეს ყოვლისა, მთელი ახალი თაობის შეგნებაში, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოცია-

[1] კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის [FR-24-19560] მხარდაჭერით – „საისტორიო აზროვნების ტრანსფორმაცია: საბჭოთა საქართველოდან დამოუკიდებელ საქართველომდე (1987-1991)“.

ლისტური ინტერნაციონალიზმის იდეათა განმტკიცება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. საბჭოთა კავშირში ოჯახი და სკოლა ზრდიდა მოზარდ თაობას საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ეს გრძნობა ბავშვებში ჯერ კიდევ სკოლამდელ პერიოდში წარმოიშობოდა. სკოლაში სწავლების პერიოდში კი უფართოვდებოდათ წარმოდგენები საბჭოთა კავშირზე, მოსკოვზე, როგორც მის დედაქალაქზე და ამის ფონზე სწავლობდნენ სამშობლოს სიყვარულს. განსაზღვრული იყო საბჭოთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ძირითადი ამოცანები და საშუალებები (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 62).

საბჭოთა ისტორიული მეცნიერება და სკოლაში მისი სწავლება ისტორიის გაგების მარქსიზმის მიერ გაკვალული გზით მიემართებოდა. ისინი მოწოდებულნი იყვნენ მიეცათ მოსწავლეებისთვის განსაზღვრული ფორმაციის ცოცხალი სურათი მის ზუსტ მეცნიერულ ახსნასთან ერთად. საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ორი ფუძემდებლური პრინციპიდან გამოდიოდა. ესენი იყო ისტორიზმის პრინციპი და საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზისადმი კლასობრივი, პარტიული მიდგომის პრინციპი. ისტორიზმი გამომდინარეობდა თვით მარქსიზმის არსისგან, რომელიც, როგორც ლენინმა აღნიშნა, მოითხოვდა, რომ ყოველი დებულება განხილული ყოფილიყო მხოლოდ ისტორიულად, მხოლოდ სხვებთან ერთად, სხვა დებულებებთან დაკავშირებით, მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან დაკავშირებით. მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვდა პარტიულობას ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გადაცემაში, ე. ი. მათ მეცნიერულ, ობიექტურ ახსნასა და შეფასებას მუშათა კლასის პოზიციებიდან (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 63).

სკოლაში აუცილებელი იყო კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა და ვლადიმირ ლენინის ნაწარმოებების, ასევე სკკპ დოკუმენტების, როგორც ისტორიული ცოდნის პირველწყაროებად განხილვა. საბჭოთა სასკოლო მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ისტორიის კურსში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები, სკკპ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობების დოკუმენტების შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, ამ ნაწარმოებებისა და დოკუმენტების, როგორც საზოგადოებრივი მოვლენების ერთადერთი სწორი, მეცნიერული პოზიციებიდან გაშუქების სწორუპოვარი ნიმუშების განსაკუთრებული როლით იყო განპირობებული. სწავლების დროს მეთოდოლოგიურად სჯეროდათ, რომ ლენინის „უკვდავ“ შრომებს, კომუნისტური პარტიის დოკუმენტებს, ახალგაზრდობა იღებდა როგორც სახელმძღვანელოებს სამყაროს მეცნიერული შეცნობისთვის (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 189).

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პირდაპირ მითითებებს იძლეოდა როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მისამართით თუ რას

უწყობდა ხელს მსგავსი მოაზროვნეების ნაშრომების შესწავლა. ზემოთქმული ნაწარმოებების „შესწავლა ხელს უწყობს მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელობის, დიდი მოაზროვნეებისა და რევოლუციონერების კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვლადიმერ ლენინის ისტორიული როლის ღრმა გაგებას, მოაზროვნეებისა, რომელთა მოღვაწეობაც აღმაფრთოვანებელ მაგალითს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს კომუნისტებისთვის; იგი ხელს უწყობდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის სკკპ, საბჭოთა ხალხის, სხვა ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლის ყოველმხრივ ჩვენებას (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 189). მარქსის, ლენინისა და ენგელსის სწავლების მთავარი ამოცანა იყო:

1. მოსწავლეს შეძლებოდა მარქსისტულ-ლენინური იდეების შეფასება, მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერნაციონალური ხასიათის გაგება;
2. გამოემუშავებინა ცხოვრების მოვლენებისადმი კლასობრივი, კომუნისტური, პარტიული მიდგომა;
3. გაზრდილიყო მასში „იდეური დარწმუნებულობა“. დაუფლებოდნენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლის ცოდნასა და უნარებს (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 190).

საბჭოთა სკოლებში იდეოლოგიზირებული ინფორმაციის მიწოდების მიზნით არსებობდა პედაგოგიური მოთხოვნებიც. ეს ორგვარი იყო: პედაგოგი თეორიულად და მეთოდოლოგიურად მომზადებული უნდა ყოფილიყო და აუცილებლად ბავშვები უნდა ემუშავებინა მარქსიზმ-ლენინიზმის პირველწყაროებზე. მასწავლებელს უნდა მოეწყო მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაწარმოებების კლასში განხილვა და შესწავლა, ასევე უნდა მიემართა სხვა წყაროებისთვის: პროლეტარიატის დიდი ბელადების ბიოგრაფიებისთვის, თანამედროვე მოგონებებისთვის, მწერლების მხატვრული ნაწარმოებისა და გამომსახველობით კინოკადრებისთვის. იმდროინდელი პრესის გამოყენება კი მასწავლებელს ეხმარებოდა მოსწავლისთვის ეჩვენებინა ლენინის ანდერძის, მარქსისტულ-ლენინური იდეების მზარდი გავლენა მთელი კაცობრიობის ბედზე (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 192-193).

პატრიოტიზმი ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოებში

ისტორიის სწავლებისას წყდებოდა მნიშვნელოვანი ამოცანები საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდისათვის. ამ კუთხით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მშობლიური ისტორიის შესწავლას VII-X კლასებში.

მასწავლებელს მხატვრულად და ემოციურად უნდა გადაეცა სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია – ქვეყნისა, სადაც პირველად დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა და გაიმარჯვა სოციალიზმმა, ქვეყნისა, რომელიც კაცობრიობას უკაფავდა კომუნიზმის გზას. ახალგაზრდების პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ისტორიის სწავლების ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ღრმად გაგება, ეროვნული ურთიერთობის საკითხებისადმი კლასობრივი მიდგომის ჩამოყალიბება. საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლას VIII-IX კლასებში დამაჯერებლად უნდა ეჩვენებინა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წარმოშობა და განვითარება, მისი ძალა და მნიშვნელობა XIX-XX საუკუნეების მოვლენებში, საქართველოს განუხრელად მზარდი როლი მსოფლიო ისტორიაში. კურსში სავალდებულო იყო საომარი მოვლენების ისტორიის შესწავლა. ამ ყოველივეს ხელი უნდა შეეწყო ომებისა და არმიების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებების ძირითადი დებულებების დაუფლებისთვის, სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ ვლადიმერ ლენინის მოძღვრების, სსრკ შეიარაღებული ძალების მშენებლობის პრინციპების განმტკიცებაში. ამ პერიოდში, ისევე როგორც მთლიანად, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ისტორიის სწავლებისას წყდებოდა ახალგაზრდობის იდეური და მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადების ამოცანები საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის.

საბჭოთა კავშირის სკოლებში მოწმდებოდა VII-X კლასების მოსწავლეების მიერ საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის შეთვისების დონე. მოსწავლეებს წერილობით უნდა ეპასუხათ სამ კითხვაზე: 1. „მოიტანეთ მაგალითები ადამიანთა პატრიოტული მოქმედებების შესახებ ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან. რა არის საბჭოთა პატრიოტიზმი?; 2. მოიტანეთ მაგალითები მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირების შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში (ძველად და ჩვენს დროში). რა არის პროლეტარული ინტერნაციონალიზმი?; 3. თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ ფასდება დიდად ჩვენს ქვეყანაში პატრიოტული გრძნობა, ხალხთა მეგობრობა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი?“ (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 336-337).

კლასების მიხედვით კი შემდეგნაირად ყალიბდებოდა საბჭოთა სკოლებში პატრიოტიზმი: VIII კლასი. თემა: „მეცნიერული კომუნიზმის წარმოშობა. კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი“. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ მოწოდება „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არსი – ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ძირეული ინტერესების ერთობა, მათი მოქმედებისა და ბრძოლის ერთიანობა კაპიტალის წინააღმდეგ. IX კლასი. თემები: 1. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და მეორე ინტერნაციონალი; 2. რუსეთი ორ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას შორის; 3. პირველი მსოფლიო ომი, მეფის

რუსეთის მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში; 4. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება რუსეთში. კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი ეპოქის დასაწყისი"; 5. საბჭოთა ქვეყანა იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერვენციისა და სამოქალაქო ომების წლებში (1918-1920)"; 6. სსრ კავშირი სოციალიზმის ეკონომიკური საძირკვლის მშენებლობის წლებში; სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასრულება. სოციალიზმის აშენება სსრ კავშირი (1933 – 1937); 7. კაპიტალისტური სამყარო ორ მსოფლიო ომს შუა. X კლასი. თემები: 1. მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები; საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი; 2. სსრ კავშირი განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა და კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში; 3. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობა და განვითარება; 4. საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა. აღნიშნული თემების შესასწავლად მასწავლებლებს უნდა გამოეყენებინათ ვლადიმერ ლენინის სტატიები, მაგალითად, „მუშათა კლასი და ეროვნული საკითხი", „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ"[2], „უსრულესი ეროვნული თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით", „ჩვენი დღეების მთავარი ამოცანა", ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მიძღვნილი კრებული, რომელიც გამოცემული იყო 1970 წელს, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირების ჩანაწერები (გამოშვებული იყო 1969 წელს). ამ სტატიების, მასალების შესწავლითა და განხილვით მოსწავლეებს უნდა დაენახათ სსრ კავშირის შექმნის ლენინური პოლიტიკა; ესწავლათ პატრიოტიზმი და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 344-352).

სკოლის სახელმძღვანელოში ისტორიის პროგრამა და საკითხები

კვლევის პროცესში ჩვენ დავამუშავეთ საბჭოთა პერიოდში გამოშვებული რამდენიმე სახელმძღვანელო, ესენია: მე-8 კლასის „ახალი ისტორია", ავტორი ალექსანდრე ეფიმოვი (1986), მე-9 კლასის „ახალი ისტორია 1640-1870" – ალექსეი ნაროჩნიცკი (1988), მე-9 კლასის „ახალი ისტორია 1871-1917" – ვლადიმირ ხვოსტოვი (1986), მე-10 კლასის „საქართველოს ისტორია 1861-1917" – ფარნაოზ ლომაშვილი (1990), მე-8-9 კლასის „საქართველოს ისტორია – დასაბამიდან 1860-მდე" – ნოდარ ასათიანი (1988), ამასთან ერთად ჩვენ დავამუშავეთ 1987 და 1990 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის პროგრამები. სწორედ, აღნიშნული მასალების გათვალისწინებით, ვეცდებით, წარმოვაჩინოთ თუ რა საკითხები ისწავლებოდა საბჭოთა პერიოდის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში.

[2] ამ სტატიის განხილვით პირველ მსოფლიო ომში და მის მიმდინარეობისას მოსწავლეებისთვის უნდა დაენახებინათ ბოლშევიკების პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის მაგალითები და ცარიზმის ექსპლუატატორული ხასიათი.

საქართველოს ისტორიის სკოლის განახლებული პროგრამა 1987 წელს გამოქვეყნდა. ამ წლიდან სკოლები კვლავ 11 წლიანი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ მე-9 კლასის მოსწავლეები პირდაპირ აღმოჩნდნენ მე-11 კლასში და ამის შემდეგ მოსწავლეებს მოუწიათ 11 წელი სწავლა. პროგრამა შედგენილი იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მეთოდიკის სექტორში. ასევე, პროგრამას რეკომენდაციას უწევდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სასწავლო-მეთოდური საბჭო. ბუნებრივია, დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ. 11 წლიანი სკოლისთვის ასე გამოიყურებოდა საქართველოს ისტორიის პროგრამა:

მე-5 კლასში – ეპიზოდური მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან. 15 სთ წელიწადში;

მე-8 კლასში – საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის 50-იან წლებამდე. სულ 34 სთ წელიწადში;

მე-9 კლასში – საქართველოს ისტორია XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნემდე, 1 საათი კვირაში, 34 სთ წელიწადში;

მე-11 კლასი – XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულიდან 1970-იან წლებამდე, 10 საათი წელიწადში.

მე-9 კლასში – XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ისტორია ისწავლებოდა. ამ პერიოდის ძირითადი მოვლენა იყო ფეოდალიზმის შეცვლა კაპიტალიზმით. საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფლობით“ შეერთების საკითხის გაშუქება, რის შემდეგაც უნდა ეჩვენებინათ ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ფაქტობრივად XIX საუკუნის ყველა აჯანყება მონათლული იყო სოციალურ ნიადაგზე დაწყებულ ამბოხად.

მეცხრე კლასის მოსწავლეები შეისწავლიდნენ „აპრილის თეზისებს“, სტატიებს მარქსიზმის შესახებ, ამით მათ უნდა დაენახათ რომ ლენინმა დასახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერსპექტივები, განსაზღვრა პარტიის ამოცანები რევოლუციისათვის ბრძოლაში. მოსწავლეებს უნდა ესწავლათ, რომ ლენინმა თავის სტატიებში გადმოსცა მწყობრი მოძღვრება შეიარაღებული აჯანყების, როგორც ხელოვნების შესახებ (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 192).

მოსწავლეები მე-8-9 კლასში აუცილებლად უნდა გაცნობოდნენ შემდეგ ტექსტებს: კომუნისტური პარტიის მანიფესტს, სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტს, ქრესტომათიას „ლენინის შესახებ“. მოსწავლეებს ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით უნდა შეეთვისებინათ ლენინისეული დახასიათებები, მოსაზრებები და დასკვნები. ფაქტობრივად, იმპერატიულად უნდა მიეღოთ ის მსჯელობა, რასაც სთავაზობდა ლენინი განსაკუთრებით ისეთ

საკითხებზე, როგორიც იყო სახელწმიფოს წარმოშობა, კლასების ჩამოყალიბება, ბატონყმობის არსი (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 194).

ისიც განსაზღვრული იყო, თუ რომელი სტატიის შესწავლისას რომელ თემას უნდა შეხებოდნენ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ მოსწავლესთან კლასში პირველ წყაროდ უნდა დაემუშავებინათ „II ინტერნაციონალის კრახი“, რომელიც რევოლუციური სიტუაციის შესახებ კარგ ინფორმაციას იძლეოდა. რუსეთში XIX საუკუნის 60-იანი წლები რეფორმების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ შეხედულებების სწორად ჩამოსაყალიბებლად უნდა წაეკითხათ სტატიები „საგლეხო რეფორმა“ და „პროლეტარული-გლეხური რევოლუცია“.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი პერიოდისადმი მიძღვნილ ფრაგმენტებზე მუშაობა თანდათანობით მე-8 და მე-9 კლასებში შესაბამისი თემების შესწავლის კვალობაზე ტარდებოდა (სტატიებიდან „გერცენის ხსოვნას“, „მუშათა პრესის წარსულიდან რუსეთში“).

მე-9 კლასში „მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ“, თანმიმდევრულად შეისწავლიდა რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიასთან დაკავშირებულ თემებს. ზოგიერთი გაკვეთილი მთლიანად ეთმობოდა ლენინის ნაწარმოებებზე მუშაობას. მაგალითად, ორ გაკვეთილზე შეისწავლებოდა აპრილის თეზისები.

სტატიიდან „გერცენის ხსოვნას“ ფრაგმენტს პირველად კითხულობდნენ მე-7 კლასში, რომლითაც მოსწავლე ღებულობდა პირველ შთაბეჭდილებას რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პერიოდიზაციის შესახებ და უფრო ღრმად ითვისებდა თავადაზნაურული ეტაპის არსს (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 194-195).

ასევე არსებობდა ვლადიმერ ლენინის კრებული საშუალო სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისთვის, რომლიდანაც ძალიან ბევრი ნაწარმოები უნდა განხილულიყო სკოლაში. მართალია აღნიშნულ ნაწარმოებთა კრებული 1976 წელს გამოქვეყნებულა, თუმცა 1986 წლის სკოლის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში უხვად ვხდებით ამ კრებულიდან გაკვეთილზე გამოსაყენებელ სტატიებს (ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986: 64-65).

მე-9 კლასში კომუნისტური პარტიის XIV და XV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესწავლისას მოსწავლეები უბრუნდებოდნენ ლენინის ნაწარმოებებს. ლენინური დეკრეტის – „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“ – საფუძველზე მოსწავლეები ცდილობდნენ გაეგოთ სამოქალაქო ომის ისტორია, ასევე ამ დეკრეტით ხელმძღვანელობდნენ მეორე მსოფლიო ომის (მაშინდელი ტერმინოლოგიით – დიდი სამამულო ომის) შესწავლისას.

მასწავლებლების ხელმძღვანელობით მოსწავლეები განიხილავდნენ შესასწავლი ნაწარმოების გავლენას მასების აქტიურობის აღმავლობაზე,

მაგალითად შეიარაღებული აჯანყების შესახებ რსდმპ III ყრილობის რეზოლუციის როლი აჯანყების მომზადებისთვის პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალების მობილიზაციაში ან დეკრეტის „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“ მნიშვნელობა საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ამ კლასში პროგრამის მიხედვით საჭირო იყო მოსწავლეებს გაეგოთ კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებები საქართველოში. როგორ მოიკიდა ფეხი კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა XIX საუკუნის ბოლოს და მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს საქართველოს სოფლები და ქალაქები. ასევე ამავე კლასში უნდა ახსნილიყო თუ როგორ ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული კლასი, რომლის წიაღშიც განვითარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ფაქტობრივად თერგდალეულები ბურჟუაზიულ კლასად ჰყავდათ წარმოდგენილი, რომლებიც XX საუკუნის დამდეგიდან პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას დაუკავშირდნენ. ამავე კლასში ყურადღება იყო გამახვილებული საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატის ჩასახვა-განვითარებაზე, მარქსიზმის გავრცელებასა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე.

მე-10 კლასში ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას XX საუკუნის დასაწყისიდან სოციალიზმის ძირითადად გამარჯვებამდე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას და მათ საქმიანობას საქართველოში. ამ პერიოდის მოვლენები იყო 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, საქართველოს მშრომელთა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად და სოციალიზმის გამარჯვება. არსად იყო ნახსენები გურიის რესპუბლიკა. პროგრამაში მოწოდება იყო მასწავლებლების მიმართ, რომ დიდი ყურადღება დაეთმოთ იმ მიზეზების ახსნას, რომლებმაც გამოიწვიეს სოციალისტური რევოლუციის შედარებით გვიანი გამარჯვება საქართველოში და უნდა ეჩვენებინათ მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკა.

საქართველოში საბჭოთა ისტორიის სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობოდა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, კულტურულ რევოლუციას, რის შედეგადაც საქართველოში ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის – კომუნიზმის პირველი ფაზა – სოციალიზმი აშენდა.

მე-10-11 კლასების საქართველოს ისტორიის კურსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ახსნას. საჭირო იყო ეჩვენებინათ მოსწავლეებისთვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. უნდა გაეანალიზებინათ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ხალხთა და სხვა ეროვნებათა როლი ამ საქმეში.

მე-11 კლასში საქართველოს ისტორიის სწავლებისას განიხილავდნენ სკკპ ჩანაწერებს (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის) XXVII ყრილობას, საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობას, ხუთწლიან გეგმას, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციას და სოციალიზმის სრულყოფის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ამ პერიოდის სახელმძღვანელოებში გეორგიევსკის ტრაქტატის დადება კვლავ დადებითადაა შეფასებული. რაც შეეხება 1801 წელს, ეს მონათლულია როგორც რუსეთთან ნებით შეერთება. დაპყრობაზე ან ნების საწინააღმდეგო არცერთ ღონისძიებაზე არაა საუბარი. აჯანყებები მონარქიული რეჟიმის მჩაგვრელ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული; ასევე ბურჟუაზიასთან და სოციალურ ნიადაგზე დაწყებულ აჯანყებებთან. რაც შეეხება, გასაბჭოებას, 1917-1921 წლები მოხსენიებულია როგორც სამეურნეო ნგრევა, მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება. ოზაკომის შექმნა გამოცხადებულია კონტრრევოლუციონურ საქმიანობად და პოლიტიკად. ეს პროცესები ახსნილია ისე თითქოს საქართველო მოწყდა სოციალისტურ რუსეთს და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. საქართველოს მენშევიკური მთავრობის საქმიანობა მოხსენიებულია, როგორც ანტიხალხური პოლიტიკა.

ასევე საუბარია 1918 წელს გერმანიის ჯარების საქართველოში შემოსვლაზე. ისინი გაიგივებულნი არიან დამპყრობლებთან. ფაქტობრივად, გერმანელები და თურქები ერთ ჭრილში არიან განხილულნი. იგივენაირადაა წარმოჩენილი 1918 წლისთვის გერმანელების კავკასიის რეგიონში შემოსვლა და ეს შეფასებულია როგორც ინტერვენცია. 1921 წლის 25 თებერვალი შეფასებულია დადებითად და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებად საქართველოში.

სასკოლო სახელმძღვანელოებში უხვად გვხდება კომუნიზმის ქება-დიდება. სახელმძღვანელოს ბოლოს წინა თემა კი ეთმობა საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბების ისტორიას საქართველოში, „ქართველი სოციალისტური ერის“ ჩამოყალიბებას. მეორე მსოფლიო ომში ქართველების როლს ეთმობა 35-ე თემა. დეტალურადაა გადმოცემული გერმანიის მიერ მოულოდნელად სსრკ-სთვის ომის გამოცხადება და სამამულო ომის დაწყება (საქართველოს ისტორიის პროგრამა... 1987: 10-23). ფართოდაა გაშუქებული საქართველოს მონაწილეობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ხატოვნადაა გადმოცემული თუ თავიდანვე როგორ ჩაება ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, მტერზე გამარჯვებისთვის „საყოველთაო-სახალხო“ ბრძოლებში. მეორე მსოფლიო ომის დაწყება საბჭოთა ნარატივს მიუყვებოდა. საბჭოთა მოსწავლე მარტივად დაიჯერებდა, რომ მეორე მსოფლიო ომი 1941 წლიდან დაიწყო. საერთოდ არ იყო ნახსენები მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, სსრკ-ის პოლონეთში შეჭრა ან ფინეთთან ომი.

1990 წელს გამოიცა საქართველოს ისტორიის ახალი პროგრამა. პროგრამის დამუშავებისას ცხადი გახდა, რომ საისტორიო აზროვნებამ სამი წლის პერიოდში განიცადა ტრანსფორმაცია. მართალია მცირე დოზით, თუმცა განსხვავება თვალშისაცემია. ქვემოთ გამოვყოფთ იმ საერთო და განმასხვავებელ საკითხებს, რომლებიც 1987 და 1990 წლის პროგრამების მიხედვით კვლევის შედეგად გამოიკვეთა.

ცვლილება განსაკუთრებით თვალშისაცემია მე-10-11 კლასის საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება XIX-XX საუკუნის საქართველოს ისტორიას. „თერგდალეულები" უკეთაა განხილული, დასების წარმოქმნის საკითხი კარგადაა გაშუქებული. გულდასმითაა გაშუქებული 1918-1921 წლების საქართველოს ისტორია და სახელწოდებაც საგულისხმოა, სოციალისტების მიერ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებული სახელმწიფო. თუმცა ინგლისელების, თურქებისა და გერმანელების შემოსვლა მაინც ნახსენებია, როგორც უცხოელი ინტერვენტების შემოჭრა. განხილულია 1918 წლის 26 მაისის აქტი და აღნიშნულია, რომ ქართველი ერი 117 წელი იბრძოდა ამისთვის. მსგავსი ჩანაწერი არ გვხდება 1987 წლის პროგრამაში და არ ჩანს ქართველების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. 1990 წლის პროგრამაში საუბარია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე. პროგრამაში აღნიშნულია, რომ უახლესი მასალებისა და კონცეფციის მომარჯვებით უნდა ახსნილიყო 1921 წლის თებერვლის ამბები, როცა საბჭოთა რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და წითელი არმიის ძალებით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. აღნიშნულია, რომ საქართველო კი არ შეუერთდა რუსეთს, არამედ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა. მე-10-11 კლასების საქართველოს ისტორიის კურსში ამჯერად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეროვნული პოლიტიკის გაშუქებას. იმის ჩვენებას, რომ საქართველო მრავალფეროვანია და მთელი ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ ხელი შეუწყოს ქართველი ერის კონსტიტუციური უფლებების დაცვას და სრული სუვერენიტეტის მოპოვებას. გულდასმითაა განხილული 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. გაშუქებულია ამ აჯანყების დამარცხების მიზეზები და ის საზარელი რეპრესიები, რომელსაც ბევრი ქართველი პატრიოტი ემსხვერპლა. წინა პროგრამისგან განსხვავებით სრულყოფილად იყო გაანალიზებული 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიები თბილისში და ეძლეოდა შეფასებები (საქართველოს ისტორიის პროგრამა... 1990: 11-25).

რაც შეეხება მსგავსებებს 1987 წლისა და 1990 წლის პროგრამებს შორის, განსაკუთრებით თვალშისაცემია ორი მოვლენა: 1. არცერთ მათგანში არაა ნახსენები 1937 წლის რეპრესიები, საერთოდ არაა ჩაშლილი ეს საკითხი, ვინ და რატომ შეეწირა სტალინურ რეპრესიებს; 2. მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღად ორივე შემთხვევაში 1941 წელია მიჩნეული. არაა საუ-

ბარი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე, საბჭოთა კავშირის პოლონეთზე ან ფინეთზე თავდასხმაზე.

აღნიშნული სახელმძღვანელოების დამუშავების საკითხმა ცხადყო, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ისტორია აშკარად იდეოლოგიზირებული იყო და მასებზე ზემოქმედებას, ფაქტების დამახინჯებასა და ისტორიის გაყალბებას ემსახურებოდა. ინფორმაცია და საკითხები, რომელიც აქ გამოვაქვეყნეთ და განვიხილეთ აუცილებელი და საჭირო მასალებია საისტორიო აზროვნების ტრანსფორმაციის შესწავლის საკითხში საბჭოთა საქართველოდან დამოუკიდებელ საქართველომდე (1987-1991).

წარმოდგენილმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ საბჭოთა პერიოდში ისტორიის სწავლება სკოლაში არ იყო ნეიტრალური საგანმანათლებლო პროცესი. პირიქით, იგი იყო მკაცრად იდეოლოგიზირებული სისტემა, რომელიც ემსახურებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებას სკოლის მოსწავლეების ცნობიერებაში. ისტორიული ცოდნა განიხილებოდა არა როგორც მრავალმხრივი ან კრიტიკული ანალიზის სივრცე, არამედ როგორ კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. სასკოლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და სწავლების მეთოდოლოგია ერთიანად ემყარებოდა პარტიულ და კლასობრივ მიდგომას, რაც გამორიცხავდა ალტერნატიულ ინტერპრეტაციებს.

კვლევამ ცხადყო, რომ ისტორიის სწავლების პროცესში პრიორიტეტული ადგილი ეკავა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაშრომებს, სკკპ დოკუმენტებსა და ოფიციალურ პარტიულ ნარატივს, რომლებიც წარმოდგენილი იყო როგორც ერთადერთი მეცნიერულად სწორი ხედვა. ისტორიული მოვლენები შეფასებული იყო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. ტენდენციურად იყო გაშუქებული, ქვემოთ ჩამოთვლილი საქართველოს ისტორიის საკვანძო ეპიზოდები: 1. საქართველოს დაპყრობა რუსეთის იმპერიის მიერ; 2. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა - 1918-1921 წლების მოვლენები; 3. გასაბჭოება და მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. ხოლო ისეთი საკითხები, როგორიცაა 1937 წლის რეპრესიები, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი ან საბჭოთა აგრესიული პოლიტიკა, სრულად იგნორირებული იყო.

სტატიის ფარგლებში გაანალიზებულმა 1987 და 1990 წლების საქართველოს ისტორიის პროგრამებმა აჩვენა, რომ საბჭოთა სისტემის დასასრულს საისტორიო აზროვნებაში დაიწყო ტრანსფორმაციის პროცესი. 1990 წლის პროგრამაში შეინიშნება მცდელობა მოვლენების უფრო კრიტიკული გააზრებისა, განსაკუთრებით 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის, დამოუკიდებლობის დაკარგვისა და ეროვნული მოძრაობის შეფასების თვალსაზრისით.

შედეგად, კვლევა ადასტურებს, რომ საბჭოთა სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოები ერთმნიშვნელოვნად ემსახურებოდა ისტორიის პოლიტიზაციას, ფაქტების შერჩევით გაშუქებასა და ისტორიული მეხსიერების

ფორმირებას სახელმწიფოს იდეოლოგიური ინტერესების შესაბამისად. აღნიშნული მასალა წარმოადგენს აუცილებელ წყაროს 1987-1991 წლების საქართველოში საისტორიო აზროვნების ტრანსფორმაციის შესწავლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **ასათიანი 1988:** ასათიანი ნოდარ. მე-8–მე-9 კლასის საქართველოს ისტორია – დასაბამიდან – 1860-მდე. გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1988;
- **ეფიმოვი 1986:** ეფიმოვი ალექსანდრე. მე-8 კლასი ახალი ისტორია. გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1986;
- **ისტორიის სწავლების მეთოდიკა... 1986:** ისტორიის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლებში, სარედაქციო კოლეგია: ნ. დაირი, ა. კინკულკინი, ა. კოლოსკოვი, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1986;
- **ლომაშვილი 1990:** ლომაშვილი ფარნაოზ. მე-10 კლასის საქართველოს ისტორია 1861-1917, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1990;
- **ნაროჩნიცკი 1988:** ნაროჩნიცკი ალექსეი. მე-9 კლასის ახალი ისტორია, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1988;
- **საქართველოს ისტორიის პროგრამა... 1987:** საქართველოს ისტორიის პროგრამა 11 წლიანი სკოლისთვის, რედაქტორი **ი. მახარაძე,** გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1987;
- **საქართველოს ისტორიის პროგრამა... 1990:** საქართველოს ისტორიის პროგრამა 11 კლასიანი სკოლისთვის, რედაქტორი **ი. მახარაძე,** გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1990;
- **ხვოსტოვი 1986:** ხვოსტოვი ვლადიმირ, მე-9 კლასის ახალი ისტორია 1871-1917, თბილისი, გამომცემლობა განათლება, 1986.

Gigi Gioshvili
Ph.D Program in History, TSU
Researcher at "The Centre For Contemporary History"
Assistant Professor at Caucasus University

THE TRANSFORMATION OF HISTORICAL THINKING IN GEORGIAN SCHOOL TEXTBOOKS (1987-1991)

(SUMMARY)

Within the Soviet Union, history occupied a central place among the social sciences taught in schools. Historical knowledge was regarded as an integral component of the scientific worldview and a crucial source for the formation of communist morality, as well as an essential indicator of an individual's cultural

level. According to Soviet ideological doctrine, this social function of historical knowledge acquired increasing importance in the context of the acute ideological struggle between socialism and capitalism on the international stage.

In the course of this research, we analyzed several history textbooks and curricula published during the Soviet period. The changes are particularly evident in the presentation of nineteenth and twentieth century Georgian history. Compared to the 1987 curriculum, by 1990 Georgian school textbooks offered a more thorough discussion of the *Tergdaleulebi*, while the rigid class-based framework was significantly dismantled. The history of Georgia between 1918 and 1921 was examined in detail, and the very terminology used is noteworthy: the state proclaimed by socialists was referred to as a *Democratic Republic.*

Nevertheless, the arrival of British, Turkish, and German forces continued to be described as the invasion of foreign interventionists. The Act of 26 May 1918 was discussed, with explicit reference to the fact that the Georgian nation had struggled for 117 years to achieve independence an interpretation absent from earlier curricula, which failed to acknowledge the sustained national struggle for independence. The same program also addressed the Treaty of 7 May 1920, emphasizing that, in light of newly available materials and conceptual approaches, the events of February 1921 should be explained as a violation of the treaty by Soviet Russia, which established Soviet rule in Georgia through the use of the Red Army. It was explicitly stated that Georgia did not voluntarily unite with Russia but instead once again lost its independence.

In the history courses for grades 10-11, particular attention was devoted to national policy. The curriculum emphasized Georgia's diversity and underscored that all efforts were directed toward protecting the constitutional rights of the Georgian nation and achieving full sovereignty. The August Uprising of 1924 was examined in depth and characterized as a national liberation movement. The reasons for its defeat were analyzed, along with the severe repressions that claimed the lives of many Georgian patriots. Unlike earlier programs, the tragic events of 9 March 1956 and 9 April 1989 in Tbilisi were presented comprehensively and accompanied by explicit evaluations.

Despite these significant changes, notable similarities remained between the 1987 and 1990 curriculum. Most strikingly, neither mentioned the Stalinist repressions of 1937, the topic was entirely omitted, with no discussion of who fell victim to these repressions or why. Secondly, in both programs the beginning of the Second World War was dated to 1941. There was no reference to the Molotov-Ribbentrop Pact, nor to Soviet military actions against Poland or Finland.